საქართველოს მთავრობის

დადგენილება №225

2025 წლის 19 ივნისი

ქ. თბილისი

„პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, „პროფესიული საჯარო მოხელის სამსახურებრივი მივლინებით გაგზავნის წესის, მისი სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურებისა და კომპენსაციის ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 25 აპრილის №211 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/04/2017, 010320000.10.003.019920) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის 4^1 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4^2 პუნქტი:

„4^2. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში ამ მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტებით განსაზღვრული პირების მონაწილეობის შემთხვევაში, როგორც წესი, არ ვრცელდება ამავე პუნქტებით გათვალისწინებული მიმართვის ვალდებულება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**